

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მეცნიერებისა და ხელოვნების
ფაკულტეტი

უნებლიე ემოციათა დეკოდირების კვლევა სკოლამდელი ასაკის
ბავშვებში

ნინო ჭიჭინაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ფსიქოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

ქალაქ თბილისის და რუსთავის საბავშვო ბაღებში ჩატარებულ იქნა კვლევა, რომელიც ეხება, ბავშვთა მიერ ემოციათა დეკოდირების საკითხს. ინტერესის სფეროა, ის თუ რამდენად ადეკვატურად აღიქვამენ სხვათა სახეზე აღბეჭდილ ემოციას ადრეულ ბავშვობაში. კერძოდ, 3- 6 წლის ბავშვები. რომელ ემოციას აღიქვამენ სწორად? დადებით და უარყოფით ემოციათაგან რომელს უფრო სწრაფად აღიქვამენ? რომელი მასალიდან აღიქვამენ ადეკვატურად? რომელი ემოციის აღქმა არის პრობლემატური? რა როლს თამაშობს გენდერის ფაქტორი?

კვლევა წარიმართა **ორ ეტაპად**. პირველი ეტაპი (80 ბავშვი), იყოფოდა სამ ნაბიჯად. პირველი ნაბიჯი - თანატოლთა სახეებზე აღბეჭდილი ემოციების იდენტიფიცირება. მეორე ნაბიჯი - ზრდასრულ ადამიანთა სახეზე აღბეჭდილი ემოციების იდენტიფიცირება.

მესამე ნაბიჯი - ემოციათა გრაფიკულ გამოსახულებების-„ლიმილები“, იდენტიფიცირება.

კვლევის მეორე ეტაპზე (40 ბავშვი), ცდისპირებს მიეცათ დომინანტი მასალის გამოყენებით (ანიმაციები) წარმოდგენილი ფოტოები, მრავალი ნიმუშიდან ცდისპირის ამოცანას წარმოადგენდა დასახელებული ემოციის მრავალჯერადი ამოცნობა.

კვლევაში მონაწილეობდა 80 ცდისპირები, როლმებიც ორ ასაკობრივ კატეგორიად იყოფა: 3-4, 5-6 წლის სკოლამდელი ასაკის ბავშვები. ინსტრუმენტი შერჩეული და დამტკიცებულია, (მისი ვალიდობისა და სანდოობის მაღალ კოეფიციენტს ავლენს წინარე არსებულ/ჩატარებული კვლევები, რომელშიც თავად ვმონაწილეობდი. ინსტრუმენტი წარმოადგენს 5 ძირითადი ემოციის (სიხარული, მოწყენა, გაბრაზება, შიში და გაოცება) ამსახველ ბარათებს. რომელიც სამ კატეგორიად დაიყო: ზრდასრულები, თანატოლები და ანიმაციები (ემოციის ამსახველი სქემატური გამოსახულებები). ზრდასრულები, როგორც ყველაზე ავტორიტეტული არსებები მათ ცხოვრებაში, თანატოლები, როგორც მათ ირგვლივ, არსებული მნიშვნელოვანი სოციუმის წევრები და ე.წ ანიმაციური, რომლებიც 21-ე საუკუნის ბავშვის განვითარების პროცესში ერთვება სხვადასხვა სოციალური აქტივობებიდან,

როგორებიცაა მულტ-ფილმები, კომპიუტერული ონლაინ თამაშები, სმარტფონების აქტიური მოხმარება და ა.შ.

კვლევის შედეგების თანახმად, ხუთი ძირითადი ემოციის დეკოდირება შეუძლიათ 5-6 წლის ბავშვებს, 3-4 წლისას კი მხოლოდ ძირითადი სამი ემოციის ამოცნობა შეუძლიათ. ინსტრუმენტის კატეგორიებიდან გამოიკვეთა ანიმაციები, სწორედ გრაფიკულ გამოსახულებებზე არბეჭდილ ექსპრესიას ამოიცნობენ ბავშვები ადეკვატურად. როგორც შედეგებიდან ირკვევა, სწრაფად ამოცნობადი ემოცია გახლავთ სიხარული, ხოლო პრობლემა დეკოდირებისას შეეხო ნეიტრალურ ემოციათა ჯგუფს (გაკვირვება, სევდა). ასაკსა და დეკოდირებას შორის დადებითი კორელაციაა, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ამოცნობის სიზუსტე და სისწრაფე. გენდერულ ჭრილში მცირედი განსხვავებაა, ბიჭები მეტად ადეკვატურად და სწრაფად ახდენენ დეკოდირებას ვიდრე გოგონები. საყურადღებოა, რომ ბიჭებს ყურადღება გამძაფრებული აქვთ უარყოფითი ემოციისადმი (სიბრაზე), გოგონებს კი დადებითი ემოციისადმი (სიხარული).

ჩვენი კვლევა ავლენს ურთიერთკავშირს მსგავს კვლევებთან - ჩატარებულს მსოფლიო მასშტაბით, რომლის მიხედვითაც შედეგი ანალოგიურია, რაც ამ საკითხის მნიშვნელოვანი განხილვის აუცილებლობას უსვამს ხაზს. თავად კვლევა და შედეგები იძლევა მასალას, რომელიც შესაძლოა ახალ კვლევებს დაედოს საფუძვლად.